

აბსტრაქტი ABSTRACT

Comparative Oriental Manuscript Studies (COMSt): An Introduction. Alessandro Bausi, Witold Witakowski, Eugenia Sokolinski, Pier Giorgio Borbone, Françoise Briquel-Chatonnet, Paola Buzi, Jost Gippert, Caroline Macé, Marilena Maniaci, Zisis Melissakis, Laura E. Parodi (Hrsg.). Hamburg 2015.

კრებული „აღმოსავლეთის ხელნაწერთა კომპარატივისტული კვლევა: შესავალი“ ამავე სახელწოდების სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის (COMSt) უმნიშვნელოვანეს შედეგებს ასახავს. პროგრამა COMSt ევროპის სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით 2009 წლის ივნისიდან 2014 წლის მაისამდე მიმდინარეობდა. ამ სოლიდური გამოცემის (677 გვერდი, 17.8 x 3.8 x 25.4 სმ) მიზანია, მკითხველს მრავალმხრივი ინფორმაცია მიაწოდოს, ფართო გაგებით, ახლო აღმოსავლეთის ხელნაწერი მემკვიდრეობის შესწავლისა და გამოცემების შესახებ.

რადგან კრებულის სათაურში არ არის დაზუსტებული აღმოსავლეთის კონკრეტული რეგიონი, საკვლევი მასალა კი ბერძნულ და სლავურ ხელნაწერებსაც მოიცავს, ერთ-ერთი რედაქტორი, ალესანდრო ბაუსი წინათქმაში განმარტავს, რომ COMSt-ის კონტექსტში ტერმინი „აღმოსავლეთის [ხელნაწერები]“ ხმელთაშუა ზღვის რეგიონთან ისტორიულად დაკავშირებულ ყველა არადასავლურ (არალათინურ) ხელნაწერს აღნიშნავს (გვ. 2).

კრებულში თავმოყრილია სამოცდაათზე მეტი ავტორის, მათ შორის, საყოველთაოდ ცნობილ მეცნიერთა ნაშრომები, რომლებიც დაჯგუფებულია COMSt-ის სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ძირითადი მიმართულებების მიხედვით. შესაბამისად, წინამდებარე გამოცემა ხუთი თავისგან შედგება. ესენია: 1. კოდიკოლოგია, 2. პალეოგრაფია, 3. ტექსტუალური კრიტიციზმი და ტექსტის რედაქტირება, 4. კატალოგიზება, 5. კონსერვაცია და დაცვა.

სამეცნიერო წერილები ზოგად შთაბეჭდილებას შეუქმნის როგორც პროფესიონალ, ისე მოყვარულ მკითხველს აღმოსავლეთის

ხელნაწერთა კვლევის მასშტაბსა და მიმართულებებზე. წარმოდგენილი მასალა სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე სამეცნიერო-აკადემიურ სტანდარტებს, მათ შორის, მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების მოთხოვნებს.

ამგვარად, COMSt-ის პროგრამამ შემოგვთავაზა პირველი მასშტაბური ერთტომეული გამოცემა, რომელშიც თავმოყრილია აღმოსავლეთის ხელნაწერთა კვლევის ამსახველი მდიდარი და სანდო გამოცდილება. კრებული სამაგიდო წიგნად იქცევა როგორც აღმოსავლეთის ხელნაწერთა მკვლევართათვის, ისე ამ სფეროთი დაინტერესებული სტუდენტებისთვის.

მიხაელ მუთრაიხი
პატრისტიკის კომისია
გიოტინგენის მეცნიერებათა აკადემია

Comparative Oriental Manuscript Studies (COMSt): An Introduction. Alessandro Bausi, Witold Witakowski, Eugenia Sokolinski, Pier Giorgio Borbone, Françoise Briquel-Chatonnet, Paola Buzi, Jost Gippert, Caroline Macé, Marilena Maniaci, Zisis Melissakis, Laura E. Parodi (Hrsg.). Hamburg 2015.

The handbook to be discussed is – according to the foreword – the most important result of a research network program with the same title (COMSt), funded by the “European Science Foundation” (June 2009 to May 2014).

It is an introduction into the study and edition of Oriental manuscript cultures, i.e. those from the Near and Middle East as well as North Africa. It is not quite as handy with a size of 17.8 x 3.8 x 25.4 cm and 677 pages.

The fact that this introduction treats only manuscripts from the above-mentioned region (Greek and Slavonic manuscripts are treated as well) is not immediately apparent from the title. However, Bausi, one of the editors, explains the term in the context of this manual in a general introduction: “‘Oriental’ in the COMSt perspective actually embraces all non-Occidental (non Latin-based) manuscript cultures which have an immediate historical (‘genetic’) relationship with the Mediterranean codex area.”(p.2).

The chapters and sections are authored by many – more than seventy – researchers in their individual fields of expertise, some well-known. The structure of the manual follows the work areas of the underlying project: There are five main parts which mark the chapter headings: 1. Codicology,

2. Palaeography, 3. Textual criticism and text editing, 4. Cataloguing, 5. Conservation and preservation.

The quality of the contributions correspond to scientific standard and provide a good first access, even for the interested layman, to the large field of Oriental manuscript studies. The contributions are up to date and do not neglect computer-based procedures either.

For the first time a comprehensive presentation of manuscript research dealing with Oriental manuscripts in one volume is provided.

All in all, this extensive handbook is a useful companion, which provides a reliable overview of the sometimes confusing field of research into Oriental manuscripts and manuscript cultures. It should therefore not be missing on the desk of an editor of Oriental manuscripts or in a seminar dealing with Oriental manuscripts.

Michael Muthreich
Patristic Commission
Göttingen Academy of Sciences and Humanities